



სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე

.თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

მოსარჩელე: შპს 03365-1

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" სახელი, გვარი (სახელწოდება)	204952767 პირადი (საიდენ.) ნომერი	0179,თბილისი, ფალიაშვილის ქ.№27/29, მე-2 სართული ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)	შპს 03365-2	
ალტერნატიული მისამართი შპს 03365-3		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა
	2292773		2223874	greenalt@greenalt.org

მოსარჩელის წარმომადგენელი: შპს 03365-4

ნინო გუჯარაიძე სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	01015010047 პირადი ნომერი	თბილისი, ბაქრაძის 19 ძირითადი მისამართი	შპს 03365-4	
ალტერნატიული მისამართი		ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა", 0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ.№27/29, მე-2 სართული სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა
	2292773	599902520	2223874	ngujaraidze@greenalt.org

მოპასუხე: შპს 03365-5

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო საქართველოს მთავრობა სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	0114, ქ. თბილისი, გ.გულუას ქ. 6 0134, თბილისი, ინგოროყვას ქ. 7	შპს 03365-6	
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: შპს 03365-7

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა	შპს 03365-8
---------------	-------------	----------	-------------------	-------------

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 27-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიშნო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლო დისციპლინური კომისია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი **შპ60/3365-9**

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

შპ60/3365-10

დავის საბანი

შპ60/3365-11

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

შპ60/3365-12

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

2011 წლის 28 ნოემბერს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ჩაბარდა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს 2011 წლის 18 ნოემბრით დათარიღებული №605 წერილი, რომლითაც ასოციაცია “მწვანე ალტერნატივას” ეცნობა, რომ გარემოს დაცვის სამინისტროში, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, წარდგენილია შპს „დარიალი ენერჯის“ 110 მგვტ სიმძლავრის „დარიალის ჰიდროელექტროსადგურის“ განთავსების გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში, რომ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2011 წლის 17 ნოემბერს და რომ ადმინისტრაციული წარმოებას სამინისტრო განახორციელებს „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 7 ივლისი №515 ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად“. სამინისტრომ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ არ მიაწოდა მოთხოვნილი გზშ-ის ანგარიში, თუმცა განუმარტა, რომ „დარიალის ჰიდროელექტროსადგურის“ გზშ-ის ანგარიშის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია კონკრეტულ ინტერნეტ-მისამართზე - ან/და სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტში საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის შემდეგ. 2011 წლის 28 ნოემბერს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ამ მისამართზე გაეცნო გზშ-ის მასალებს და ინფორმაციას ადმინისტრაციული წარმოების ვადებზე.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ ორ დღეში შეისწავლა „დარიალის ჰიდროელექტროსადგურის“ გზშ-ის ანგარიში, შენიშვნები/კომენტარები შესაბამისი №04/06-47 წერილით წარადგინა 2011 წლის 1 დეკემბერს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროში და მოითხოვა: ორგანიზაციის მიერ მომზადებული შენიშვნების გათვალისწინება ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მომზადებისას და ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გადმოცემა.

2011 წლის 15 ნოემბრის №04/06-243 წერილის პასუხად, რომლითაც მწვანე ალტერნატივა მოითხოვდა საპროექტო ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოების კანონიერების შესწავლას 2011 წლის 2 დეკემბერს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ გარემოს დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის 30 ნოემბრის №694 წერილით ეცნობა, რომ სამინისტრომ განახორციელა 17 ნოემბერს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 7 ივლისის 515 ბრძანებით დამტკიცებული „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად და 2011 წლის 28 ნოემბერს გასცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №29.

საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანება გამოცემულია კანონსაწინააღმდეგოდ და ექვემდებარება ბათილად ცნობას.

შპ60/3365-13

დავის ფაქტობრივი გარემოებები

მ360/მ365-14 მ360/მ365-15 მ360/მ365-16

1. ფაქტობრივი გარემოება

საქმიანობის განმახორციელებელმა - შპს “დარიალი ენერჯი“-მ 2011 წლის 8 სექტემბერს ცენტრალურ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში – გაზეთი “24 საათი” გამოაქვეყნა განცხადება “დარიალი ჰესი“-ს ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ დაბა სტეფანწმიდის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის შენობაში. აღნიშნული განცხადება 2011 წლის 21 სექტემბერს ასევე გამოქვეყნდა “ორჭუსის ცენტრის” ვებ-გვერდზე. ორჭუსის ცენტრის ვებ-გვერდზე ასევე გამოქვეყნდა პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში – ვერსია საზოგადოებრივი განხილვისათვის.

მტკიცებულება:

დანართი №1. 2011 წლის 8 სექტემბრის გაზეთი “24 საათი”;

დანართი №2. ორჭუსის ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსებული განცხადების ასლი;

2. ფაქტობრივი გარემოება

ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა“-მ 2011 წლის 21 სექტემბერს №04-03/272 წერილით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს და მოითხოვა: “მდ.თერგის ხეობაში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, ჰიდროელექტროსადგურის (დარიალი ჰესი) მშენებლობისა და ექსპლოატაციის პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის და/ან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის თაობაზე ადმინისტრაციულ წარმოებაში ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა“-ს ჩაბმა, სამინისტროში შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენისთანავე მისი ასლის გადმოცემა და ადმინისტრაციული წარმოების ვადებთან დაკავშირებით ინფორმირება. გარემოს დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ეკატერინე ბენდელიანის 2011 წლის 27 სექტემბერს №132 წერილით ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს ეცნობა, რომ „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენისთანავე, სამინისტრო ჩართავს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციულ წარმოებაში“.

მტკიცებულება:

დანართი №3. ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა“-ს 2011 წლის 21 სექტემბრის №04-03/272 წერილი;

დანართი №4. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს 2011 წლის 27 სექტემბრის №132 წერილი;

3. ფაქტობრივი გარემოება

შპს “დარიალი ენერჯი“-მ გამოქვეყნებული განცხადების შესაბამისად 2011 წლის 8 ნოემბერს ჩაატარა საჯარო განხილვა დაბა სტეფანწმიდას თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ შენობაში, რომელსაც ესწრებოდნენ დაბა სტეფანწმიდას გამგეობის თანამშრომლები და ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა“-ს პარტნიორი ორგანიზაციის “სტეფანწმიდას” წარმომადგენელი. 2011 წლის 9 ნოემბერს ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა“-მ შპს “დარიალი ენერჯი“-ს და შპს “დარიალი ენერჯი“-ს მიერ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მოსამზადებლად დაქირავებულ სამეცნიერო-კვლევით ფირმას “გამა” ელექტრონული ფოსტით გაუგზავნა ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა“-ს და “სტეფანწმიდა“-ს ერთობლივი შენიშვნები და კომენტარები პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საზოგადოებრივი განხილვისათვის წარმოდგენილი ვერსიის თაობაზე. აღნიშნულის თაობაზე ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა“-მ 2011 წლის 15 ნოემბერს ინფორმირების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გაუგზავნა შესაბამისი წერილები და შპს “დარიალი ენერჯისათვის” გაგზავნილი გზშ-ს პროექტის ანგარიშის საზოგადოებრივი განხილვისათვის წარდგენილ ვერსიაზე გაკეთებული შენიშვნები და კომენტარები.

მტკიცებულება:

დანართი №5. ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა“-ს და “სტეფანწმიდა“-ს ერთობლივი შენიშვნები;

დანართი №6. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსათვის 2011 წლის 15 ნოემბერს გაგზავნილი №04/06-243 წერილი;

დანართი №7. საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის 2011 წლის 15 ნოემბერს გაგზავნილი №04/06-243 წერილი)

4. ფაქტობრივი გარემოება

2011 წლის 28 ნოემბერს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს ჩაბარდა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს 2011 წლის 18 ნოემბრით დათარიღებული №605 წერილი, რომლითაც ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა“-ს ეცნობა, რომ გარემოს დაცვის სამინისტროში, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის

მიღების მიზნით, წარდგენილია შპს „დარიალი ენერჯის“ 110 მგვტ სიმძლავრის „დარილის ჰიდროელექტროსადგურის“ განთავსების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომ აღმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2011 წლის 17 ნოემბერს და რომ აღმინისტრაციული წარმოებას სამინისტრო განახორციელებს „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 7 ივლისი №515 ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად“. სამინისტრომ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს არ მიაწოდა მოთხოვნილი გზშ-ის ანგარიში, თუმცა განუმარტა, რომ „დარილის ჰიდროელექტროსადგურის“ გზშ-ის ანგარიშის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია მითითებულ ინტერნეტ-მისამართზე ან/და სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტში საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის შემდეგ. 2011 წლის 28 ნოემბერს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ამ მისამართზე გაეცნო გზშ-ს მასალებს და ინფორმაციას წარმოების ვადებზე.

მტკიცებულება:

დანართი №8. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს 2011 წლის 18 ნოემბრის № 605 წერილი
დანართი №9. ორჭუსის ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია.

5. ფაქტობრივი გარემოება

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-მ ორ დღეში შეისწავლა „დარილის ჰიდროელექტროსადგურის“ გზშ-ის ანგარიშის ელექტრონული საბოლოო ვერსია (300 გვერდზე მეტი მოცულობის) და შენიშვნები/კომენტარები შესაბამისი №04/06-47 წერილით წარადგინა 2011 წლის 1 დეკემბერს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროში და მოითხოვა: ორგანიზაციის მიერ მომზადებული შენიშვნების გათვალისწინება ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მომზადებისას და აღმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გადმოცემა.

მტკიცებულება:

დანართი №10. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს 2011 წლის 1 დეკემბრის №04/06-47 წერილი

6. ფაქტობრივი გარემოება

2011 წლის 15 ნოემბრის №04/06-243 წერილის პასუხად, რომლითაც მწვანე ალტერნატივა მოითხოვდა საპროექტო ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოების კანონიერების შესწავლას 2011 წლის 2 დეკემბერს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს გარემოს დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ეკატერინე ბენდელიანის 30 ნოემბრის №694 წერილით ეცნობა, რომ სამინისტრომ განახორციელა 17 ნოემბერს დაწყებული აღმინისტრაციული წარმოება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 7 ივლისის 515 ბრძანებით დამტკიცებული „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად და 2011 წლის 28 ნოემბერს გასცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №29.

2011 წლის 5 დეკემბერს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ 2011 წლის 2 დეკემბრის №726 წერილით ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს სამინისტრომ კიდევ ერთხელ შეატყობინა, რომ 2011 წლის 28 ნოემბერს უკვე გასცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №29.

მტკიცებულება:

დანართი №11. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს 2011 წლის 30 ნოემბრის №694 წერილი;
დანართი №12. 2011 წლის 2 დეკემბრის №726 წერილი;
დანართი №13. საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 ნოემბრის №ი-50 ბრძანება;

7. ფაქტობრივი გარემოება

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-მ აღმინისტრაციული საჩივარი წარადგინა ზემოაღნიშნული აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით, თუმცა საქართველოს მთავრობამ ამ საჩივარზე არანაირი რეაგირება არ მოახდინა, რაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენს აღმინისტრაციული ორგანოს უარს.

მტკიცებულება:

დანართი 14. მწვანე ალტერნატივას აღმინისტრაციული საჩივარი.

8. ფაქტობრივი გარემოება.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდ. თერგზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის“ - საზოგადოებრივი განხილვისთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტის თანახმად ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არ განხორციელდებოდა. ანგარიშის 5.3.5.3 თავში აღნიშნულია, რომ: „აღსანიშნავია ჰესის მშენებლობისათვის შერჩეული ტერიტორიის და ყაზბეგის ეროვნული პარკის ურთიერთ მდებარეობის საკითხი, კერძოდ: ეროვნული პარკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი უშუალოდ ესაზღვრება დარილის ხეობას, ხოლო ხეობის ბოლო ნაწილი (მდ. დევდორაკის შემდგომ) კი დაცული ტერიტორიის ფარგლებშია (იხილეთ ნახაზი 5.3.5.2.1.1.). „დაცული ტერიტორიების შესახებ“

საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე დაცული ტერიტორიის ფარგლებში აკრძალულია ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა. აღნიშნულიდან გამომდინარე ჰესის პროექტირების პროცესში აუცილებელი იქნება ყაზბეგის ეროვნული პარკის და ჰესის კომუნიკაციების განთავსების ტერიტორიების საზღვრების გამიჯვნა და შესაბამისი ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება“.

ანგარიშის 7.8.4 თავში დაზუსტებულია, რომ: „აღსანიშნავია ჰეს-ის მშენებლობისათვის შერჩეული ტერიტორიის და ყაზბეგის სახელმწიფო ნაკრძალის ურთიერთმდებარეობის საკითხი. „დაცული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე დაცული ტერიტორიის ფარგლებში აკრძალულია ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა. წინასაპროექტო გადაწყვეტების მიხედვით ყაზბეგის ეროვნული პარკის საზღვრების შიგნით სამშენებლო სამუშაოები არ განხორციელდება და უშუალოდ პარკის ტერიტორიაზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება“.

ამდენად, დაინტერესებული საზოგადოებისთვის, ხელმისაწვდომი დოკუმენტაციიდან ცნობილი იყო, რომ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არ განხორციელდებოდა.

მტკიცებულება

დანართი 15. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდ. თერგზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“ - ელექტრონული ვერსია (კომპაქტური დისკი);

9. ფაქტობრივი გარემოება.

2012 წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტის არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ბიუროს ვებ-გვერდზე განთავსდა ინფორმაცია მასზედ, რომ საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის ინიციატივით წარდგენილ იქნა კანონპროექტი - „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; საქართველოს პარლამენტში რეგისტრაციის თარიღი - 2 თებერვალი, 2012 წ., რეგისტრაციის №07-2/404; საქართველოს პარლამენტის ბიუროზე განხილვის თარიღი - 7 თებერვალი, 2012 წ., ბიუროს რეგისტრაციის №222.

„დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის პირველი მუხლით იცვლება ყაზბეგის ეროვნული პარკის ფართობი - არსებული 8707 ჰა მცირდება 8698.2263 ჰა-მდე. ამასთან, კანონპროექტის მე-2 მუხლი ადგენს იმ ტერიტორიის გეოგრაფიულ კოორდინატებსა და ფართობს (8.7737 ჰა), რომელიც აღარ შევა ყაზბეგის ეროვნული პარკის შემადგენლობაში.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათი განმარტავს კანონპროექტის მიღების მიზეზს: - „ყაზბეგის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე ჰიდროენერგეტიკული პროექტის განხორციელების ხელშეწყობის აუცილებლობა“ და ასევე კანონპროექტის მიღების მიზანს: - „მშენებარე ჰიდროელექტროსადგურისთვის გამოყოფილი იმ ფართობებისათვის დაცული ტერიტორიის სტატუსის მოხსნა, რომლებიც ხვდებიან ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე“.

ყურადსაღებია, რომ საქართველოს პარლამენტში კანონპროექტის წარდგენის მომენტისთვის, მწვანე ალტერნატივას უკვე წარდგენილი ჰქონდა სასამართლოში სარჩელი (2012 წ. 30 იანვარი) მინისტრის იმ ბრძანების გაუქმების მოთხოვნით, რომლითაც გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა „დარიალი ჰესის“ განთავსებაზე.

მტკიცებულება

დანართი 16: საქართველოს პარლამენტის არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ბიუროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია;

დანართი 17: კანონპროექტი „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

მშპ 03363-17 მშპ 03363-18 მშპ 03363-19

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს 2011 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №ი-50, რომლითაც დამტკიცდა შპს „დარიალი ენერჯი“-ზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№29; 2811.11) 110 მკვ სიმძლავრის „დარიალი ჰესი“-ს ჰიდროელექტროსადგურის განთავსებაზე.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ა“ პუნქტისა და მასზე ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებები.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან იგი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და აწესებს კონკრეტული სუბიექტის შპს „დარიალი ენერჯის“ უფლებებსა და მოვალეობებს.

4. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6, მე-7 მუხლების, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 7 ივლისის №515 ბრძანებით დამტკიცებული „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ“ მე-8 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1, 10.3, მე-13, 53-ე, მე-6 თავი, მე-9 თავი, 96-ე მუხლის, "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" ორჰუსის კონვენციის მოთხოვნების დარღვევით.

5. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლს („ეროვნული პარკი“), რომელიც არ უშვებს ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. კანონის 5.1 მუხლის თანახმად, „ეროვნული პარკი იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი მშენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად სასიცოცხლო და რეკრეაციული საქმიანობისათვის“.

6. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება "დაცული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონის 5.3 მუხლს, რომლის თანახმად იმპერატიულად არის განსაზღვრული, თუ რა ზონები შეიძლება მოეწყოს ეროვნულ პარკში და რა მიზნით ეწყობა თითოეული მათგანი: კერძოდ: ეროვნულ პარკში შეიძლება მოეწყოს შემდეგი ძირითადი ზონები:

- ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა;
- ბ) ბუნების მართვადი დაცვის ზონა;
- გ) ვიზიტორთა ზონა;
- დ) აღდგენის ზონა;
- ე) ისტორიულ-კულტურული ზონა;
- ვ) ადმინისტრაციის ზონა;
- ზ) ტრადიციული გამოყენების ზონა.

ბუნების მკაცრი დაცვის ზონა ეწყობა ხელუხლებელი ბუნების შენარჩუნების, არამუნიციპალური მეცნიერების კვლევის და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის.

ბუნების მართვადი დაცვის ზონა ეწყობა სასიცოცხლო გარემოს დაცვის, მოვლა-პატრონობისა და აღდგენის, აგრეთვე მანიპულაციური მეცნიერული კვლევის, ტურიზმისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის.

ვიზიტორთა ზონა ეწყობა ბუნების დაცვის, რეკრეაციისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის.

აღდგენის ზონა ეწყობა ანთროპოგენური ჩარევით დაზიანებული ბუნების ობიექტების და ტერიტორიების დაცვა-აღდგენისათვის.

ისტორიულ-კულტურული ზონა ეწყობა ბუნებრივი გარემოს, ისტორიულ-კულტურული ობიექტებისა და (ან) არქიტექტურული ძეგლების დაცვა-აღდგენის, რეკრეაციის, ტურიზმისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის (ზონა არ მოიცავს დასახლებებს).

ადმინისტრაციის ზონა ეწყობა ეროვნული პარკის ადმინისტრირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განსათავსებლად.

ტრადიციული გამოყენების ზონა ეწყობა ბუნების დაცვის და განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციულ გამოყენებასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობისათვის. ზონაში დაიშვება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებით და ბუნებრივი პროდუქტიულობით ლიმიტირებული თიბვა, ძოვება, საშემე მერქნის მოპოვება და სხვა. დაუშვებელია ხვნა-თესვა და სასოფლო-სამეურნეო ნაგებობების განთავსება“.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე უდავოდ არის დადგენილი, რომ ეროვნული პარკის არცერთი ზონა არ ითვალისწინებს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესაძლებლობას.

7. ადმინისტრაციულმა ორგანომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დაარღვია "დაცული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონის 20.4 მუხლი, რომელიც იმპერატიული ხასიათის სამართლებრივი ნორმაა და რომლის თანახმად ნებისმიერი დაცული ტერიტორიის კატეგორიის (მათ შორის, ეროვნული პარკის) ფარგლებში იკრძალება „(ა) ბუნებრივი ეკოსისტემების რღვევა და სხვა სახის შეცვლა; (ბ) ექსპლუატაციის ან სხვა მიზნით რომელიმე ბუნებრივი რესურსის განადგურება, ამოღება, რღვევა, დაზიანება... (ე) ტერიტორიაზე ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებების შეტანა“. უდავოა, რომ ჰიდროელექტროსადგურისა და მასთან დაკავშირებული ობიექტების მშენებლობისთვის აუცილებელი სამუშაოების წარმოება (მათ შორის, მდინარის წყლის მოქცევა ჯერ სადერივაციო მილსადენში და შემდგომ, გვირაბში) გამოიწვევს ეროვნული პარკის ტერიტორიის რეჟიმის დარღვევას, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 305-ე მუხლის თანახმად (დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა) სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს და ისჯება კანონით დადგენილი წესით.

8. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლს, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, „ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ტერიტორიები დაცული უნდა იყოს დაზიანების, დარღვევის, დაზიანების, დეგრადაციის, გამოფიტვისა და დაშლისაგან“; ამავე კანონის 46.2 მუხლს, რომლის თანახმად, „აკრძალულია ყოველი ქმედება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა სამყაროს, საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალებს და სამიგრაციო გზებს“; ამავე კანონის 53.1 მუხლს, რომლის თანახმად, „საქმიანობა არ უნდა იწვევდეს ბიომრავალფეროვნების შეუქცევად რაოდენობრივ ან ხარისხობრივ ცვლილებებს და მის დეგრადაციას“.

9. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება "საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის" შესახებ“ საქართველოს კანონის 10.2 და 10.3 მუხლებს, რომლის თანახმად: „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს და საარსებო პირობების გაუარესება, გარდა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა. "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე შესაძლო მაგნე ანთროპოგენური ზეგავლენის მოხდენის გათვალისწინება სავალდებულოა: (ა) „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესში სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შედგენისას...“.

10. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება

"საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ" კანონის 11.1 მუხლს, რომლის თანახმად, „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალის, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების დარღვევა, გარდა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით“.

11. ზემოაღნიშნულით დადასტურებულია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება კანონს, ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ წინამდებარე აქტის მომზადებისა და გამოცემისას არსებითად დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, რის გამოც საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 ნოემბრის №ი-50 ბრძანება ფორმალურ-სამართლებრივი და მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით უკანონოა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

12. სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

2. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველები:

3. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველები:

მტკიცებითი უშამდგომლობები

შპ60/შპ6A-20

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შპ60/შპ6A-21

1. უშამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

შპ60/შპ6A-22

უშამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1. დაეკლოს მოპასუხეებს წარმოდგინონ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

შპ60/შპ6A-23

სსკა სახის უშამდგომლობები

შპ60/შპ6A-24

1. მოთხოვნა	
არგუმენტაცია:	
2. მოთხოვნა	
არგუმენტაცია:	

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

დიახ	<input type="checkbox"/>	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	<input checked="" type="checkbox"/>		

სარჩელის ფასი

შპს 0336A-25

— არაქონებრივი ღარი

სახელმწიფო ბაჟი

შპს 0336A-26

— 100 ლარი

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?	დიახ <input type="checkbox"/> არა <input checked="" type="checkbox"/>
რომელი ნორმა?	
მტკიცებულება:	
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?	დიახ <input type="checkbox"/> არა <input checked="" type="checkbox"/>
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?	დიახ <input type="checkbox"/> არა <input checked="" type="checkbox"/>
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?	დიახ <input type="checkbox"/> არა <input checked="" type="checkbox"/>
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:	
5.	

შპს 0336A-27

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?	
დიახ	<input checked="" type="checkbox"/> მტკიცებულება:
არა	<input type="checkbox"/> რადგან

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს ღირსეულად გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ ღირსეული შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?	
დიახ	<input type="checkbox"/> მორიგების პირობები:
არა	<input checked="" type="checkbox"/> რადგან ღირსეულად გამოძინარე მორიგება მხარეებს შორის შეუძლებელია.

შპს 0336A-28

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ

არა

რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

შპ60/შპ65-29

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

25 წუთზე მეტი რადგან ეს დრო არის საჭირო მხარის ახსნა-განმარტების წარმოდგენისათვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

0 სხდომაში რადგან ერთი სხდომა საკმარისი იქნება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და დადგენისათვის.

შპ60/შპ65-30

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ

არა

რადგან

შპ60/შპ65-31

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

შპ60/შპ65-32

თანდართული საბუთების ნუსხა

შპ60/შპ65-33 შპ60/შპ65-34

- 2011 წლის 8 სექტემბრის გაზეთში "24 საათი" გამოქვეყნებული განცხადება („24 საათის“ ოფიციალური ვებ-გვერდიდან) - 1 ფურცელი;
- ორჭუსის ცენტრის მიერ ელექტრონული ქსელით გაგრძელებული „ინფორმაცია საჯარო განხვილების შესახებ“ – 3 ფურცელი;
- ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ 2011 წლის 21 სექტემბრის №04-03/272 წერილი – 1 ფურცელი;
- საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს 2011 წლის 27 სექტემბრის №132 წერილი – 1 ფურცელი;
- სს „დარიალი ენერჯისა“ და სამეცნიერო-კვლევითი ფირმისთვის „გამა“ გაგზავნილი ასოციაცია „მწვანე ალტერნატივასა“ და „სტეფანწმიდას“ ერთობლივი შენიშვნები და კომენტარები – 6 ფურცელი;
- საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსთვის გაგზავნილი ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ 2011 წლის 15 ნოემბრის №04/06-243 წერილი – 7 ფურცელი;
- საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის გაგზავნილი ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ 2011 წლის 15 ნოემბრის №04/06-243 წერილი – 7 ფურცელი;
- საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს 2011 წლის 18 ნოემბრის №605 წერილი – 1 ფურცელი;
- დანართი 9. - ორჭუსის ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია - 1 ფურცელი;
- მწვანე ალტერნატივას 2011 წლის 1 დეკემბრის №04/06-47 წერილი თანდართული შენიშვნებითა და კომენტარებით – 7 ფურცელი;
- საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს 2011 წლის 30 ნოემბრის №694 წერილი – 1 ფურცელი;
- საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს 2011 წლის 2 დეკემბრის №726 წერილი – 11 ფურცელი;

13. საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 ნოემბრის № 0-50 ბრძანება – 1 ფურცელი;
14. მწვანე ალტერნატივას ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს მთავრობას, 2011 წლის 28 დეკემბრის № 04 / 06 – 59 წერილი – 69 ფურცელი;
15. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდ. თერგზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“ - ელექტრონული ვერსია (კომპაქტური დისკი);
- 16: საქართველოს პარლამენტის არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ბიუროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია. - 1 ფურცელი;
- 17: კანონპროექტი „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - 4 ფურცელი;
18. ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი - 2 ფურცელი;
19. წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი რწმუნებულება – 1 ფურცელი;
20. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან – 2 ფურცელი;

ფურცლების საერთო რაოდენობა — 128

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

	დიახ	არა
1. მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
5. მითითებულია დავის საგანი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. მითითებულია სარჩელის ფასი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11. მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12. სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13. სარჩელი ხელმოწერილია.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
14. სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხება.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:		
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> პუნქტების ჩამონათვალი	<i>ხელმოწერა</i>	<i>სახელი და გვარი</i>

ატვირთვის ბმული: <http://tbappeal.court.ge/sf> <http://tbappeal.court.ge/sf>

შპსი/შპსა-35

საიდენტიფიკაციო ნომერი:

შპსი/შპსა-36

შპსი/შპსა-37 ელ. ფოსტა: 1st.instance@court.ge

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ასოციაცია მწვანე ალტერნატივას ალმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე	01.03.2012
ხელმოწერა	ხელმოწერის სახელი და გვარი	შევსების თარიღი
შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.		